

„ხარისხის კონტროლის სისტემის მოქმედების თავისებურებები სტაციონარულ დაწესებულებებში“

(პროგრამა დამტკიცებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს პროფესიული განვითარების საბჭოს 2017 წლის 15 ივნისის N5 სხდომის გადაწყვეტილებით (რს- 452)

სასწავლო კურსი განკუთვნილია ჯანდაცვისა და სადაზღვევო სისტემაში მომუშავე ყველა სპეციალობის ექიმისათვის, ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე ჯანდაცვის პროფესიონალებისათვის რომელთაც სურთ ცოდნის გაღრმავება ჯანდაცვის მენეჯმენტის კუთხით

სასწავლო პროგრამაში განხილული პრობლემები შერჩეულია ქვეყნის ჯანდაცვის პოლიტიკისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სტრატეგიული მიმართულებების გათვალისწინებით

პროგრამის მიზანი და ამოცანები:

პროგრამა ითვალისწინებს ჯანდაცვის დაწესებულებებში მომუშავე ხელმძღვანელი მუშაკების პროფესიული ცოდნის ამაღლებას ისეთ საკითხებში, როგორცაა:

- ხარისხის სისტემის როლი ჯანდაცვის დაწესებულებებში;
- ხარისხის სისტემის ძირითადი მახასიათებლები;
- ალტერნატიული სტრატეგიების განხორციელების თავისებურებები;
- ხარისხის კონტროლის სისტემის მოქმედების დაგეგმარების თავისებურებები;
- სტანდარტიზაცია ხარისხის შეფასების პროცესში;
- გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდების დანერგვის საქმეში;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების შედგენის თავისებურებები

მსმენელმა უნდა აითვისოს ხარისხის სისტემის ძირითადი მახასიათებლები, საკითხები, რომლებიც შეეხება:

- სტანდარტიზაციას ხარისხის შეფასების პროცესში;
- მოქმედების თავისებურებებს სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისების მიწოდების პროცესში;
- მსმენელი უნდა დაეუფლოს ხარისხის დაგეგმვის მეთოდებს;

პროგრამა ითვალისწინებს ისეთი საკითხების განხილვას, როგორცაა:

- ხარისხის სისტემის როლი ჯანდაცვის დაწესებულებებში;
- ხარისხის სისტემის ძირითადი მახასიათებლები;
- ალტერნატიული სტრატეგიების განხორციელების თავისებურებები;
- ხარისხის კონტროლის სისტემის მოქმედების დაგეგმარების თავისებურებები;
- სტანდარტიზაცია ხარისხის შეფასების პროცესში;
- გუნდური მუშაობის პრინციპების დანერგვა ხარისხის კონტროლის თანამედროვე მეთოდების დანერგვის საქმეში;
- თანამდებობრივი ინსტრუქციების შედგენის თავისებურებები

სწავლების მეთოდები

ლექცია-პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარება, ჯგუფური სამუშაოები, დისკუსია, სიტუაციური ამოცანების განხილვა, კრიტიკული ანალიზი, შესაბამისი ლიტერატურის რეფერირება, პროექტზე მუშაობა და მისი პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმები: დასწრება, ჯგუფური მუშაობა, დავალებები, წერითი გამოკითხვა, ინდივიდუალური პროექტის მომზადება.

კურსის დასრულების შემდეგ მსმენელმა უნდა:

- შეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს დაწესებულების თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციების შედგენა.
- შეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს კლინიკის ხარისხის მართვის გეგმის შედგენა და მისი განხორციელება.
- დაეუფლოს მოტივაციის პრინციპების გამოყენებას პერსონალთან და პაციენტთან მუშაობის პროცესში;
- შეძლოს დამოუკიდებლად განახორციელოს დაწესებულების ბიზნეს-გეგმის შედგენა.
- მიიღოს ზომები, რათა სამედიცინო დაწესებულებაში დაინედგოს მოწინავე გამოცდილება სამედიცინო საქმიანობის ადმინისტრირების დარგში

სასწავლო პროგრამის მოცულობა შეადგენს 50 საკონტაქტო საათს (10 დღე). მათ შორის 35 საათი განკუთვნილია ლექცია-პრაქტიკულებისათვის და 15 საათი პროექტის მომზადებისათვის და პრეზენტაციისათვის

სწავლება ხორციელდება კვირაში 3-ჯერ (შაბათის ჩათვლით) მსმენელებთან წინასწარ შეთანხმებული გრაფიკით.

კურსი ტარდება წელიწადში 6-ჯერ

პროგრამის განხორციელების ადგილი: გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ახალი კორპუსი (თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი 13) უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ბაზა (თბილისი, ჯანო ბაგრატიონის 6) და გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის აჭარის ფილიალის ბაზა (მახინჯაური) - აჭარისა და გურიის რეგიონში მომუშავე მენეჯერებისათვის.

მსმენელთა სასწავლო კურსზე ჩარიცხვა ხორციელდება როგორც ინდივიდუალურად (უნივერსიტეტთან სათანადო კონტრაქტის გაფორმებისა და მის ანგარიშზე სწავლის ღირებულების გადახდის საფუძველზე), ასევე უნივერსიტეტის მიერ ცალკეულ ორგანიზაციებთან სათანადო კონტრაქტის გაფორმების საფუძველზე.

სწავლის ღირებულება 100 ლარი.

გადახდა წარმოებს საბანკო გადარიცხვის გზით და შესაძლებელია განხორციელდეს ორ ეტაპად. კერძოდ, სწავლის დაწყებამდე 50 ხოლო დარჩენილი ნაწილი სწავლის დასრულებამდე არაუგვიანეს ერთი კვირის/5 სამუშაო დღის განმავლობაში.

კორპორატიული მსმენელებისთვის (ერთი დაწესებულებიდან 3 და მეტი მსმენელი), კურსის ღირებულება მსმენელზე შეადგენს 90 ლარს

მსმენელი იქნება უზრუნველყოფილი სათანადო სასწავლო მასალებით (როგორც ელექტრონული ფორმით, ასევე ქაღალდის მატარებელზე)

სასწავლო კურსის დამთავრების დამადასტურებელი მოწმობის (სერტიფიკატის) გაცემა მსმენელის მიერ სწავლების წარმატებული დასრულების შედეგად გაიცემა სათანადო სერტიფიკატი სასწავლო პროგრამის დასახელების და ხანგრძლიობის მითითებით.